

მეუფეო, ყოვლისა მპყრობელო, მკურნალო სულთა და ხორცთა ჩვენთაო, რომელი დაამდაბლებ და აღამაღლებ, რომელი ჰსწყლავ და კვალად განჰკურნავ, ძმასა ამას ჩვენსა სნეულსა ზედა მოჰხედე მოწყალებითა შენითა. მოჰყავ მარჯვენა შენი უხილავი, სავსე ლხინებითა და კურნებითა. განჰკურნე მონაი ესე შენი (სახელი) და აღადგინე ესე ცხედრისაგან სნეულებისა მისისა და შეჰრისხენ სულსა ყოვლივე წყლულები და ყოველივე საღმობა, ყოველივე გვემა და ყოველივე მხურვალობა, გინა ცხრო და რაოდენი რა არს ამის თანა ბრალი, გინა უსჯულოება, მიუტევე, ულხინე შეუნდევ კაცთმოყვარებისა შენისათვის.

ჰე, უფალო, შეიწყალე დაბადებული ესე შენი ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება თანა ყოვლად წმიდაო, სახიერით და ცხოველისმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

[www.mrevli.ge](http://www.mrevli.ge)